საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დასავლურკასპიური ანთროპოლოგიური ტიპი

დასავლურკასპიური ანთროპოლოგიური ტიპი, კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ანთროპოლოგიური ტიპი.

შედის სამხრეთ ევროპეოიდული რასის შემადგენლობაში და წარმოადგენს ინდო-პამირული ანთროპოლოგიური ტიპის ერთ-ერთ (კასპიურ) ვარიანტს. გვხვდება ძირითადად აზერბ. და ქურთულ-იეზიდურ ჯგუფებს შორის.

ეს ტიპი განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული აქსტაფის, ქედაბეკის, დალმამედლის, გერანბოის, გეოქჩაის, მარაზის, შუშის, ნახიჩევანისა და დერბენდის აზერბ. მოსახლეობაში, შემახის, აფშერონის, კონახტენდის ტატ-აზერბაიჯანელებს შორის, თბილისის, აპარანისა და ლაჩინის ქურთებისა და იეზიდების, აგრეთვე შავიზღვისპირელი შაფსუღების ჯგუფებში.

დამახასიათებელია თვალებისა და თმის მუქი პიგმენტაცია, ვიწრო თავი და სახე, საშუალოზე მკვეთრად გამოხატული ყვრიმალები, შედარებით სწორი ცხვირი, მათი უმეტესობა საშუალო სიმაღლის ან დაბალია. იხ. აგრეთვე კავკასიის ანთროპოლოგიური ტიპები.

ლიტ. : А б д у ш е л и ш в и л и М. Г., Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964; Б у н а к В. В., Антропологический состав населения Кавказа, Тб., 1946; К а с и м о в а Р. М., Антропологические исследования современного населения Азербайджанской ССР, Баку, 1975.